ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №51

19.11.2024 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ანა კილაძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ლევან მდივნიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მწვანე ლანდშაფტების დაგეგმარების განყოფილების უფროსი;
4. **გიორგი კობიაშვილი** - სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი;
5. **ვახტანგ ნოზაძე** - შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ დირექტორი;
6. **არსენ ხვინგია** - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საფინანსო სამსახურის უფროსი;
7. **ბექა გოგილიძე** - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საფინანსო სამსახურის თანამშრომელი;
8. **ირინე დანელია** - ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი;
9. **გიორგი ნაცვალაძე** - ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის საფინანსო განყოფილების უფროსი;
10. **ზურაბ გურიელიძე** - ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის დირექტორი;
11. **პაატა ბედიაშვილი** - ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 14 ნოემბრის №12-032431943-03 წერილი)

/მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
თანამომხსენებელი: ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2024 წლის 14 ნოემბრის №12-032431943-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინეს ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ და ლევან მიქავამ.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა: ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ და ბ-ნმა ვლ. ბოჟაძემ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტთით განსაზღვრული თბილისის პრიორიტეტებით (ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტი (კოდი: 03); საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების პრიორიტეტი (კოდი: 09)) გათვალისწინებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე ისაუბრეს სხდომაზე მოწვეულმა სტუმრებმა - შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა (ლ. მდივნიშვილი, გ. კობიაშვილი, ვ. ნოზაძე, ი. დანელია, ბ. გოგილიძე, ზ. გურიელიძე).

კომისიის კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული თბილისის პრიორიტეტებით გათვალისწინებულ შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტი (კოდი:

03) - **223 195 400 ლარი**, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (221 611 100 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 1 584 300 ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში:

- **გამწვანების ღონისძიებებისათვის** (კოდი: 03 01) გათვალისწინებულია **59 801 300 ლარი** (მათ შორის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მწვანე კუნძულების მოწყობა, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, სარწყავი სისტემების მოწყობა, ფერდობებზე ტყის გაშენება, სათამაშო ატრაქციონებისა და სპორტული ტრენაჟორების მცენარეთა შეძენა და სხვა);

- **დასუფთავების ღონისძიებებისათვის** (კოდი: 03 02) გათვალისწინებულია **130 500 000 ლარი** (მათ შორის თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის და თბილისის მუნიციპალური მომსახურების სესხის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 500 000 ლარი, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების შესაძენად - 2 000 000 ლარი).

- **ბოტანიკური ბაღის და თბილისის ზოოლოგიური პარკის ხელშეწყობისთვის** (კოდი: 03 03) გათვალისწინებულია **9 410 000 ლარი**, *კერძოდ:*

- *ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 01) – 4 670 800 ლარი;*

- *ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 02) – 4 739 200 ლარი;*

- **რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის (კოდი: 03 04)** გათვალისწინებულია **23 484 100** ლარი, მათ შორის:

  - **სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობისთვის (კოდი: 03 04 01) – 10 000 000 ლარი;**

  - **ვერის ბაღის რეაბილიტაციისთვის (კოდი: 03 04 02) – 13 484 100 ლარი.**

- **საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება ცხოველთა მონიტორინგი (კოდი: 09 02) - 6 962 100 ლარით.**

ასევე, გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის:

- **თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი: 10 38) - 4 160 000 ლარი;**
- **თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი: 10 39) - 2 560 000 ლარი;**
- **თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი: 10 46) – 8 440 600 ლარი.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, **კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ნიკოლოზ კახეთელიძემ, კომისიის წევრებს მიმართა და კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:**

ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში:

1. **გამწვანების ღონისძიებების** (კოდი: 03 01) დაფინანსება გაიზარდოს **დამატებით 97 320 000 (ოთხმოცდაჩვიდმეტი მილიონ სამას ოცი ათასი) ლარის (მათ შორის შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ სუბსიდია - 11 000 000 (თერთმეტი მილიონი) ლარის)** ოდენობით;
2. **დასუფთავების ღონისძიებების** (კოდი: 03 02) დაფინანსება გაიზარდოს **დამატებით 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარის** ოდენობით;
3. **ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის** (კოდი: 03 03 01) დაფინანსება გაიზარდოს **დამატებით 7 617 600 (შვიდი მილიონ ექვსას ჩვიდმეტი ათას ექვსასი) ლარის** ოდენობით;
4. **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის** (კოდი: 03 03 02) **დაფინანსება** გაიზარდოს **დამატებით 4 850 000 (ოთხი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარის** ოდენობით;
5. **ცხოველთა მონიტორინგის** (კოდი: 09 02) დაფინანსება გაიზარდოს **დამატებით 6 953 018 (ექვსი მილიონ ცხრაას ორმოცდაცამეტი ათას თვრამეტი) ლარის** ოდენობით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში:

1. **გამწვანების ღონისძიებების** (კოდი: 03 01) დაფინანსება გაიზარდოს **დამატებით 97 320 000 (ოთხმოცდაჩვიდმეტი მილიონ სამას ოცი ათასი) ლარის (მათ შორის შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ სუბსიდია - 11 000 000 (თერთმეტი მილიონი) ლარის)** ოდენობით;
2. **დასუფთავების ღონისძიებების** (კოდი: 03 02) დაფინანსება გაიზარდოს **დამატებით 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარის** ოდენობით;
3. **ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის** (კოდი: 03 03 01) **დაფინანსება** გაიზარდოს **დამატებით 7 617 600 (შვიდი მილიონ ექვსას ჩვიდმეტი ათას ექვსასი) ლარის** ოდენობით;
4. **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის** (კოდი: 03 03 02) **დაფინანსება**

გაიზარდოს დამატებით 4 850 000 (ოთხი მილიონ რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

5. ცხოველთა მონიტორინგის (კოდი: 09 02) დაფინანსება გაიზარდოს დამატებით 6 953 018 (ექვსი მილიონ ცხრაას ორმოცდაცამეტი ათას თვრამეტი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე